კახაბერ ციმინტია - ასოცირებულიპროფესორი,
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: kakhatsimintia@gmail.com

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგებში: რეიტინგების შინაარსი და დინამიკა

შესავალი. XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ტრანსფორმაციამდე, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებით, საქართველო ტიპურ საბჭოთა ქვეყანას წარმოადგენდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა და სისტემური კრიზისების ფონზე მიმდინარეობდა. 1996 წლიდან გამოკვეთილი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია არასაკმარისი აღმოჩნდა არსებული გამოწვევებისთვის საპასუხოდ. ქვეყანა ახალ ათასწლეულს დაბალი ცხოვრების დონითა და ხარისხით, განუვითარებელი ეკონომიკური სტრუქტურებით შეხვდა. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, კერძოდ კი 2004 წლიდან ქვეყანაში განხორციელდა ძირეული, რადიკალური და არსებითი ხასიათის რეფორმები, რომელმაც ამ პერიოდისთვის საქართველოს ტოპ-რეფორმატორებში დაუმკვიდრა ადგილი. კერძოდ, ეკონომიკის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დამყარებას, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისების დაძლევას, კორუფციასთან ბრძოლას, კანონიერი ეკონომიკური თამაშის წესების დადგენას, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას (რეფორმისტული ძალისხმევის მეტწილად ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებას), ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვან შემცირებას, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას, პრივატიზების პროცესის დაჩქარებასა და კერძო ინვესტიციების ხელშეწყობაზე აქცენტირებას, საბაჟო პროცედურების გამარტივებასა და

ადმინისტრირების გაუმჯობესებას, დიდ წინსვლებს საბანკო სექტორში, ტელეკომუნიკაციებსა და საერთაშორისო ვაჭრობაში (სამსონ, (2006) : 73-74), (ციხელაშვილი ...(2012) : 39-40), (Gurgenidze, (2009)).

2003 წელს საქართველოში რეალური და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 8,6 მლრდ ლარს (3,4 მლრდ აშშ $) შეადგენდა. 2012 წლისთვის რეალურმა მშპ-მ (2003 წლის ფასებში) 14,5 მლრდ ლარი შეადგინა, ანუ 1,7-ჯერ გაიზარდა, ხოლო ნომინალურმა - 26,2 მლრდ ლარი, ანუ 3-ჯერ მეტი.მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (გარდა 2009 წლისა) რეალური მშპ ზრდის (რიგ წლებში ერთობ შთამბეჭდავი) ტენდენციით ხასიათდებოდა და 2004-2012 წლებში საშუალოდ 6,1 % შეადგინა. სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების, კორუფციის შემცირების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაიზარდა (8-ჯერ) საბიუჯეტო შემოსავლები (2003 წელს არსებული 0,93 მლრდ ლარიდან, 2012 წელს - 7,1 მლრდ ლარამდე). რამაც ქვეყანას პენსიების (10,7-ჯერ), ხელფასების (4,5-ჯერ) ზრდისა და ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პროექტების განხორციელების საშუალება მისცა. მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი - ინვესტიციები. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2003 წელს არსებული 340,1 მლნ აშშ დოლარიდან 2007 წლისთვის 2 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2012 წელს 911,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).აღნიშნულ პერიოდში როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ეკონომიკაშიც მოხდა მნიშვნელოვანი გამოცოცხლება, სისტემური კრიზისის დაძლევა და ზრდის ტრაექტორიის უზრუნველყოფა.

2012 წლის შემდგომ გაგრძელდა რეფორმირების პროცესები. ამ მიმართულებით ყურადღება გამახვილდა საკუთრების უფლების დაცვაზე, წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრის ღონისძიებებზე, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

2019 წლისთვის რეალურმა მშპ-მ (2015 წლის ფასებში) შეადგინა 40,3 მლრდ ლარი, 2020 წლისთვის - 37,6 მლრდ ლარი. მშპ-მ აშშ დოლარებში (მიმდინარე

ფასებში) 2019 წელს შეადგინა 17,5 მლრდ აშშ დოლარი, 2020 წელს კი -15,8 მლრდ აშშ დოლარი. (2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი 16,5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა). პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2019 წელს მიაღწია 1,3 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა და მხოლოდ 0,6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

ძირითადი ტექსტი. აღნიშნულმა მიღწევებმა თავისი ასახვა ჰპოვა სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში, სადაც საქართველოს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თავის მხრივ რეიტინგების ასეთმა გაუმჯობესებამ საქართველო მომხიბლავი ქვეყანა გახადა სხვადასხვა სახის საქმიანობისა და ინვესტირებისთვის. წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილავთ საქართველოს რეიტინგს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გათვლილ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით.

ეკონომიკის თავისუფლების მსოფლიო ინდექსი (Economic Freedom of the World Index). მის გათვლას ახორციელებს Frazer Institute, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემთა საფუძველზე. იგი ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას შემდეგი 5 ძირითადი სფეროს მიხედვით ზომავს:

სფერო 1: მთავრობის ზომა — როგორც სახელმწიფო ხარჯები, გადასახადები, მთავრობის მიერ კონტროლირებადი საწარმოების ზომა. იგი თავის მხრივ ხუთ კომპონენტად იყოფა.

სფერო 2: სამართლებრივი სისტემა და ქონებრივი უფლებები - პირთა დაცვა. რადგან მათ მიერ კანონიერად შეძენილი ქონება ეკონომიკური თავისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ცენტრალური ელემენტია. იგი 8 კომპონენტისგან შედგება.

სფერო 3: ჯანსაღი ფული - ინფლაცია არღვევს მიღებული ხელფასისა და დანაზოგების ღირებულებას. ამრიგად, ჯანსაღი ფული აუცილებელია საკუთრების უფლებების დასაცავად. არა მხოლოდ მაღალი ინფლაციის, არამედ მისი არასტაბილურობის დროსაც, ინდივიდებისთვის რთული ხდება მომავლის

დაგეგმვა და ამით ეკონომიკური თავისუფლების ეფექტურად გამოყენება. აღნიშნული სფერო 4 კომპონენტს მოიცავს.

სფერო 4: საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება - გაცვლის თავისუფლება -მისი ფართო გაგებით, ყიდვა, გაყიდვა, კონტრაქტების დადება დაასე შემდეგ - აუცილებელია ეკონომიკური თავისუფლებისთვის. იგი 4 კომპონენტს აერთიანებს.

სფერო 5: რეგულირება - მთავრობები არა მხოლოდ იყენებენ საერთაშორისო გაცვლის უფლების შეზღუდვის რიგ ინსტრუმენტებს, არამედ, მათ შეიძლება ასევე დააწესონ მძიმე რეგულაციები, რომლებიც ზღუდავს კრედიტის მიღების, დაქირავებისა და ბიზნესის თავისუფლად მართვის შესაძლებლობებს (კრედიტის, შრომისა და ბიზნესის რეგულირება). იგი სამ კომპონენტადაა დაყოფილი. ამგვარად, აღნიშნული სფეროები, თავის მხრივ, 25 ქვეკომპონენტად დაყოფილი 24 კომპონენტისგან შედგება.თითოეული კომპონენტი და ქვეკომპონენტი 0-დან 10 ბალამდე ფასდება, სადაც 10 ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და მიუთითებს ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხზე (Gwartney... (2021) : 4).

საქართველო ამ რეიტინგში 2003 წელს 6.83 ბალით,62-ე ადგილს იკავებდა, ხოლო 2019 წლისთვის კი 8.26 ბალით სტაბილურად მე-5 ადგილზეა(165 ეკონომიკას შორის. 1-4 ადგილებზე არიან ჰონკონგი (8,91), სინგაპური (8,81), ახალი ზელანდია (8,56), შვეიცარია (8,48)(Gwartney... (2021) : 8)და ლიდერია არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, არამედ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს შორისაც. ამასთან არსებითი ხასიათის გაუმჯობესებაა ყველა ხუთივე სფეროს მიხედვით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Index of Economic Freedom). აღნიშნული ინდექსის გათვლა ხორციელდება Heritage Foundation და The Wall Street Journal მიერ და წარმოადგენს ქვეყანაში ბიზნესის დაწყების, ფუნქციონირებისა და დახურვის სიმარტივის რაოდენობრივ საზომს. საერთო ქულა გაითვლება მსოფლიო ბანკის Doing Bussiness-ის, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI), კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) და

მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსის (WJP)კვლევების საფუძველზე. მისი გათვლა ხორციელდება 4 ჯგუფად წარმოდგენილი შემდეგი 12 კომპონენტის საფუძველზე: **კანონის უზენაესობა** (საკუთრების უფლება, სასამართლო ეფექტიანობა და ხელისუფლების კეთილსინდისიერება); **მთავრობის ზომა** (საგადასახადო ტვირთი, სახელმწიფო ხარჯები და ფისკალური სიჯანსაღე); **რეგულირების ეფექტიანობა** (ბიზნესის თავისუფლება,შრომის თავისუფლება და ფულადი თავისუფლება); **ბაზრის ღიაობა** (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება). რეიტინგი 0-100 დიაპაზონს მოიცავს, სადაც 100 ქულა ნიშნავს ყველაზე მაღალ შეფასებას (ყველაზე თავისუფალი ეკონომიკა მსოფლიოში) და დაახლოებით 180 ეკონომიკას იკვლევს. 100-80 ქულა ნიშნავს თავისუფალ (Free) ეკონომიკას, 79.9-70 – ძირითადად თავისუფალი (Mostly Free), 69,9-60- ზომიერად თავისუფალი (Moderateri Free), 59,9-50 – ძირითადად არა თავისუფალი (Mostly Un-free), 49.9-0 – რეპრესირებული (Repressed)(Miller... (2022) : 13), (Miller... (2016) : 2, 22).

რეფორმამდელ პერიოდში არსებული 123 პოზიციიდან 2007 წლისთვის საქართველომ 26-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, ხოლო 2021 წლის კვლევის მიხედვით, საქართველო ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-7 პოზიციაზე იყო, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის კი 77.2 ქულით მე-12 პოზიციაზე ,,ძირითადად თავისუფალი" ეკონომიკის სტატუსით. საქართველოს საერთო ქულა აღემატებოდა როგორც რეგიონის, ისე მსოფლიოს საშუალო ქულას (Miller... (2021) : 6).

სამწუხაროდ, როგორც ჩვენს მიერ იყო პროგნოზირებული (Gejua ... (2019) : 16) 2022 წლის კვლევის მიხედვით საქართველოს რეიტინგი წინა წელთან შედარებით 5,4 ქულით შემცირდა, შეადგინა 71,8 ქულა და 26-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა (Miller ... (2016) : 5), თუმცა ,,ძირითადად თავისუფალი" ეკონომიკის სტატუსს ინარჩუნებს. შემცირება განიცადა ისეთმა კომპონენტებმა, როგორიცაა: საკუთრების უფლება, სასამართლოს ეფექტიანობა, ხელისუფლების კეთილსინდისიერება, მთავრობის ხარჯები, ფისკალური სიჯანსაღე, ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, ფულადი თავისუფლება. ამათგან ყველაზე

მეტადაა დაქვეითებული ფისკალური სიჯანსაღის, შრომის თავისუფლების, ბიზნესის თავისუფლების მაჩვენებლები. აღნიშნულზე COVID – 19 პანდემიის მიერ წარმოქმნილ პრობლემებთან ერთად, სავარაუდოდ იმოქმედა ბოლო პერიოდში კორუფციასთან, სახელმწიფო ხარჯებთან, ბიზნესის თავისუფლებასთან, ფინანსების თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულმა პრობლემებმა.მოსალოდნელია, რომ აღნიშნული საკითხები აისახება ეკონომიკის თავისუფლების მსოფლიო ინდექსის უახლეს მაჩვენებლებშიც და იგი სავარაუდოდ შემცირდება, თუმცა ეს არ გამოიწვევს ეკონომიკური თავისუფლების კუთხით უფრო დაბალ ჯგუფში გადანაცვლებას.

დასკვნა. ამგვარად, მიუხედავად 2022 წლისთვის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში გარკვეული უკუსვლისა, საქართველო ერთ-ერთი ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყანაა სადაც დაცულია საკუთრების უფლება, არის საკმაოდ ეფექტიანი რეგულაციები, ღია ბაზარი, დაბალი საგადასახადო ტვირთი, ფინანსური მდგრადობა და თავისუფლება. მარტივია ბიზნესის რეგისტრირება (ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია რამდენიმე წუთში ონლაინ რეჟიმშია შესაძლებელი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კი რამდენიმე საათში ერთი სარკმლის პრინციპით). თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ საქართველო ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოში, რიგი ღონისძიებების შემდგომ იგი შეიძლება გახდეს საკმაოდ მომხიბვლელი ქვეყანა ინვესტირებისთვის. სავარაუდოდ, პანდემიის უარყოფითი შედეგების გამოსწორების კვალობაზე, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი კვლავ გაიზრდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრობამ უნდა იზრუნოს რეგულაციებისა და სამთავრობო ხარჯების შემცირებაზე, საკუთრების დაცვასა და სასამართლოს ეფექტიანობაზე, შრომისა და ბიზნესის თავისუფლებაზე, ფისკალურ სიჯანსაღესა და ლარის კურსის სტაბილურობაზე.

ლიტერატურის სია.

1. სამსონ, ი. (2006). განვითარების გზების ძიება: „საქართველოს მიზნები“. ევროპული პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები (კვარტალური მიმოხილვა). თბილისი, გვ. 73-74.
2. ციხელაშვილი, ქ. შერგელაშვილი, თ. თოქმაზიშვილი, მ. (2012) საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში. “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი”. გვ. 39-40.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/
4. Gejua, M. Tsimintia,K. (2019) Georgia In Economic Freedom Ratings: Current Situation And Dynamic. International Scientific Journal ,,Internauka”. #18(80). გვ.16.
5. Gurgenidze, l. (2009) ,,Georgia” s Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economy”. American Enterprise Institute eor Public Policy Research. Development Policy outlook, #2, June. გვ.
6. Gwartney,J. Lawson, R. Hall, J. Murphy, R. (2021). Economic Freedom of the World. Annual Refort. გვ. 4. გვ. 8.
7. Miller, T. Kim, A. (2016)The Heritage Foundation. 2016 Index of Economic Freedom. Promoting Economic Opportunity and Prosperity.გვ. 2. გვ. 5. გვ. 22.
8. Miller, T. Kim, A. James M. Roberts, J. Tyrrell, P. (2022).Highlights Of The 2022 Index Of Economic Freedom. The Heritage Foundation. გვ. 13.
9. Miller, T. Kim, A.Roberts, J. (2021)Highlights Of The 2021 Index Of Economic Freedom. The Heritage Foundation. გვ. 6.

Kakhaber Tsimintia–An associate Professor
Department of Economics and Business
LEPL Sokhumi State University
E-mail:kakhatsimintia@gmail.com

Georgia in Economic Freedom Indices: The Concept and Dynamics of the Ratings

An Abstract

The paper discusses the global index of economic freedom and the concept of the economic freedom index, their components and meaning. The dynamics of the said indices and the place of Georgian among the world countries are presented. The reasons for falling downof Georgia in the economic freedom index for 2022 are discussed. There are the considerations about the possible advancement of Georgia in the ratings of the Georgia's economic freedom after recovery from the negative outcomes of the Pandemics. In addition, the government has to care about the regulations and reduction of the governmental costs, protection of the property and efficiency of the court, labor and business freedom, fiscal healthiness and stability of the GEL rate.

Key words: International indices; economic transformation, the index of the economic freedom